საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კაკულია ნელი აკაკის ასული

კაკულია ნელი აკაკის ასული (დ. 11. VII. 1951, თბილისი), ექიმი (ფიზიკური მედიცინა, რეაბილიტაცია და კურორტოლოგია). მედ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (2000).

1974 დაამთავრა თსსი; 1975–78 მუშაობდა ნევროპათოლოგად კურორტ მენჯში, 1980-იდან კი – თბილისის ექიმთა დახელოვნების ინ-ტის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერა-პიის კათედრაზე (ლაბორანტად, ასისტენტად, იყო კათედრის პროფესორი), 2004-იდან კათედრის გამგე. 2006-იდან თსსუ-ის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის მიმართულების სრული პროფესორია. 2008-იდან არის ამავე უნ-ტის ფიზ. მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკ-ტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; 2009–16 – იქვე კურორტოლოგიისა და სამკურნ. ტურიზმის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და სრული პროფესორი, 2016-იდან დღემდე – კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

კ. მრავალი სამეცნ. ნაშრომის (მ. შ. 3 მონოგრაფიის) ავტორია, რ-ებიც ეხება ფიზიკური ფაქტორების გამოყენებას კლინ. პრაქტიკაში.

კ. არის საქართვ. ჯანდაცვისა და სოც. უზრუნველყოფის სამინისტროს სტანდარტიზაციის, ნორმირებისა და ლიცენზირების დეპარტამენტის ექსპერტი, საქართვ. ფიზიოთერაპევტთა ასოციაციის პრეზიდენტი (2003-იდან) და სხვ.

თხზ.: ნევრასთენიით დაავადებულთა მკურნალობა მიკროელემენტების ელექტროფორეზით, თბ., 1994; საკურორტო ადგილი „გუდაური", თბ., 2013 (თანაავტ.); კურორტოლოგია და კურორტოთერაპევტთა მცირე ენციკლოპედია, ტ. 1, თბ., 2015

(თანაავტ.).